საგაზეთო ჩანართი
# ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№3 / 2014

# თემის განმანათლებლებს ტრენინგები ჩაუტარდათ

**„ტრენინგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ უკვე იმდენი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მივიღეთ თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, რომ ვფიქრობ, ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით შევასრულებთ. ჩვენი მისიაა მოსახლეობას ვუთხრათ და ავუხსნათ რისი უფლება აქვს, რომ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ თვითმმართველობაში. ეფექტური და ნაყოფიერი იყო ეს ტრენინგები, სამი დღის განმავლობაში წუთით არ მქონია შეგრძნება, რომ დროს უქმად ვკარგავდი“. – ჯანგული შაინიძე.**



ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – „ინტელექტმა“ პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ – ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით, აჭარის მუნიციპალიტეტების თემებში შერჩეულ ადგილობრივ განმანათლებლებს ტრენერთა მომზადების ტრენინგი ჩაუტარა, თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები“. ტრენინგების მსვლელობისას მსმენელებმა შეისწავლეს ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითადი საკითხები და საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარების მეთოდოლოგიები. ტრენინგებს მაღალკვალიფიციური ტრენერები – ლევან გობაძე (საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე) და გენო გელაძე (განათლების დოქტორი, დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე) ატარებდნენ.

„განმანათლებლობა ყველა დროსა და ეპოქაში მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას წარმოადგენდა. განმანათლებლებს მიჰქონდათ მოსახლეობასთან ინფორმაცია, ცოდნა, მართალი სიტყვა. დრო შეიცვალა, განვითარდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები, მაგრამ განმანათლებლების მნიშვნელობა მაინც არ შემცირებულა. ვერანაირი საკომუნიკაციო და მასობრივი ინფორმაციის საშუალება ვერ შეცვლის ადამიანებთან პირისპირ საუბარს, კითხვების დასმისა და პასუხების მოსმენის პროცესის უშუალობას. სწორედ ამიტომ ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ყოველ თემში შერჩეულნი იქნენ ადამიანები, რომლებმაც იტვირთეს განმანათლებლის რთული მისია. მისია, რომლის მიზანიცაა მოსახლეობას აუხსნას თვითმმართველობის არსი, თვითმმართველობაში მონაწილეობის აუცილებლობა, ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესების შინაარსი, თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესი და ამომრჩეველთა უფლებები. განმანათლებლის ფუნქცია რომ შეასრულონ, ადამიანები თვითონ უნდა იყვნენ საფუძვლიანად მომზადებული იმ საკითხებში, რაზეც შემდგომში მოსახლეობას უნდა ესაუბრონ.

შერჩეული განმანათლებლების მომზადების საწყისი დონე იყო სხვადასხვანაირი. შესაბამისად, აუცილებელი იყო ყველა განმანათლებლისათვის ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კანონის, საარჩევნო კოდექსის, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მეთოდოლოგიის შესახებ, რათა მათ შესძლებოდათ საგანმანათლებლო კამპანიის კვალიფიციურად წარმართვა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი განმანათლებლებისათვის. ჩატარებული ტრენინგები იყო მეტად წარმატებული, რასაც მონაწილეთა შეფასებებიც მოწმობს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტრენინგები საშუალებას მისცემს ადგილობრივ განმანათლებლებს, კვალიფიცირებულად წარმართონ საგანმანათლებლო საქმიანობა თავიანთ თემებში“ – ასე აფასებს ჩატარებული ტრენინგის მნიშვნელობას ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე და ერთ-ერთი ტრენერი ლევან გობაძე.

ტრენერთა მომზადების ტრენინგი აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემის 94-მა ადგილობრივმა განმანათლებელმა გაიარა, რათა მათ მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საკუთარი თემის მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ამომრჩევლის ხმას, რომ თითოეულ მათგანს (ჩვეულებრივ მოქალაქეს) შეუძლია აქტიურად ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს საკუთარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენასა და განხილვაში, დაესწროს საკრებულოს სხდომებს, მიმართოს პეტიციით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ა. შ.

„ძნელია, საათობით იჯდე და ტრენერის მხრიდან კანონებს უსმენდე და იზუთხავდე, ასე ვერ ისწავლი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონს და ვერც სხვა ნებისმიერს. ამიტომ ავირჩიე მეთოდი, რომელიც ჩემთვისაც ძალზე მისაღებია და მსმენელებისთვისაც: თამაშ-თამაშით და მსმენელების მაქსიმალური ჩართულობით შეიძლება ითქვას „შემოგვესწავლა“ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, ევროპული ქარტია და საარჩევნო კოდექსი“ – განაცხადა ერთ-ერთმა ტრენერმა (იურიდიულ საკითხებში) გენო გელაძემ (განათლების დოქტორი, დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე). ტრენინგის მეთოდოლოგია მსმენელებსაც მოეწონათ. მათგან რამდენიმე მუშაობს ტრენერად სხვადასხვა ორგანიზაციებში, უფრო დიდ ნაწილს კი პედაგოგები წარმოადგენენ. როგორც „ინტელექტთან“ საუბარში აღნიშნეს, ტრენინგის ჩატარების ამ მეთოდებს სამომავლოდ თვითონაც გამოიყენებენ – ტრენინგზე და გაკვეთილზე.

ტრენინგი – „ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები“ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის. მზია აბულაძე დაბა ხულოს საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლებას ასწავლის. ახლა „ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები“ მოისმინა, რათა იმავე თემში (დაბა ხულო) ადგილობრივ განმანათლებლად იმუშაოს და უკვე მოსწავლეთა მშობლებს გააცნოს თვითმმართველობის საწყისები: „ამ საკითხებს სკოლაში ასე ძირფესვიანად ჩვენ არ ვეხებით. ჩემთვის საინტერესო იყო კანონებში ასე ღრმად ჩახედვა. მნიშვნელოვანი იყო თუნდაც პეტიციის საკითხი, ძალიან კარგია, რომ შეუძლიათ ადამიანებს რამდენჯერმე გამოიყენონ პეტიცია და მიაღწიონ სასურველ შედეგს. ეს იყო ჩემთვის საინტერესო. კიდევ ახალი საკითხები იყო, რომელიც ჩემთვის უცხო იყო, მაგალითად, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან დაკავშირებით, თუნდაც ის, რომ გამგებელს დღეს ხალხი ირჩევს, ეს ჩემი მოსწავლეებისთვისაც სიახლე იქნება, ამ ინფორმაციას მათაც მივაწვდი. ტრენინგების მეთოდოლოგია საინტერესოა და არ არის გადამღლელი. ასე ხალისით უცებ მთელი კანონმდებლობა ვისწავლეთ“.

ნინო მეგრელიძე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია: „ეს საქმე ჩემს პროფესიას ეხება. თან მაინტერესებდა ინფორმაციის გაგება, მინდოდა მქონოდა ხალხთან ურთიერთობა. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა და მომეწონა საკითხი პეტიციის შესახებ. უამრავი ინფორმაცია მივიღეთ, გვქონდა უშუალოდ კოდექსთან შეხება, საუკეთესო ტრენერები გვიხსნიდნენ. როცა საფუძველი ასეთი კარგი აქვს, განვითარებაც კარგი ექნება. აუცილებლად ვითანამშრომლებ სამომავლოდ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“, ეს არის სანდო და ჩამოყალიბებული ორგანიზაცია დიდი ხნის ისტორიით“.

პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ტრენინგის მონაწილეები „მინიპარლამენტის“ წევრები იყვნენ. ტრენინგის მსვლელობისას იქმნებოდა ფრაქციები, განიხილავდნენ საკითხებს, შეჰქონდათ ცვლილებები კანონმდებლობაში, ადგენდნენ რეკომენდაციებს, მუშაობდნენ წინასაარჩევნო პროგრამებზე და ამომრჩევლის გადასახედიდან განიხილავდნენ... სულ ხუთი ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში ოთხი „ფრაქცია“ იყო. არც ერთი ჯგუფის ნამუშევარი ერთმანეთს არ ჰგავდა, საკითხს ყველა ინდივიდუალურად უდგებოდა. „მე შინაგანად ყოველთვის ვუჭერ მხარს თვითმმართველობის განვითარებას. ეს არის პირდაპირ ორიენტირებული დემოკრატიის განვითარებაზე. ტრენინგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ უკვე იმდენი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მივიღეთ თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, რომ ვფიქრობ, ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით შევასრულებთ. ჩვენი მისიაა მოსახლეობას ვუთხრათ და ავუხსნათ რისი უფლება აქვს, რომ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ თვითმმართველობაში. ბევრ ჩემს თანასოფლელს აინტერესებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი რაში იხარჯება, მაგრამ ჰგონიათ, რომ ამ ინფორმაციის მიღების უფლება არ აქვთ. როცა ინფორმაციას მივიტანთ მოსახლეობასთან, ისინი უფრო ადვილად შეძლებენ მსგავს საკითხებში გარკვევას და საჯარო ინფორმაციას თამამად გამოითხოვენ, მეტად იქნებიან ჩართულნი თემის პრობლემების მოგვარებაში. პეტიციის სახით მოსახლეობას არამარტო მოხსენების წარდგენის უფლება აქვს საკრებულოში, არამედ სათათბირო ხმის უფლებაც. ეს უნიკალური შემთხვევაა. ეფექტური და ნაყოფიერი იყო ეს ტრენინგები, სამი დღის (ტრენინგები სამ დღეს მოიცავდა, ავტ.) განმავლობაში წუთით არ მქონია შეგრძნება, რომ დროს უქმად ვკარგავდი. ნაყოფიერი ცოდნის მიღება ხდებოდა საკმაოდ კომფორტულ გარემოში“ – გვითხრა ტრენინგის ერთ-ერთმა მონაწილემ ჯანგული შაინიძემ.

მარინე კაპანაძე ბობოყვათის ამბულატორიის ექიმია. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე სოფლის მოსახლეობას ხშირად ხვდება. მკურნალის პროფესიას უკვე მეორედ განმანათლებლის სტატუსიც შეუთავსა (2010 წელს განმანათლებლად მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ განხორციელებულ პროექტში „ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა“) და ახლა ბობოყვათში ორმაგი ვალდებულებით მიდის: „ეს პროექტი გვაძლევს საშუალებას, მოსახლეობას გავაცნოთ ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა, საკრებულოს, გამგებლის ფუნქციები... მომეწონა ის, რომ გამგებელიც იქნება არჩევითი, ეს ინფორმაცია ალბათ მოსახლეობას გაახარებს. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი დემოკრატიისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია. ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობის მიღება აქამდე უტოპიად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა ვხვდები, ადვილი შესაძლებელია მეც ჩავერთო და ჩემი თემის მოსახლეობაც ჩავრთო ასეთ საკითხებში. ჩემი მიზანიც სწორედ ეს არის – ხალხმა გაიგოს რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა და მოთხოვნები მათი ფუნქცია-მოვალეობის ადეკვატურად წაუყენონ“.

მზიური შავაძე საკრებულოს წევრის საქმიანობით დაინტერესდა: „აქამდე არ მიფიქრია, რაოდენ რთული და დატვირთული საქმიანობა აქვს საკრებულოს წევრს, მარტო სურვილი – იყოს ამა თუ იმ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, არ არის საკმარისი. მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ავირჩევ კანდიდატს, რომელსაც ექნება კარგად გააზრებული საარჩევნო პროგრამა და დავინახავ, რომ ნამდვილად შეძლებს ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანების პრობლემების მოგვარებას. ჩემი თემის მოსახლეობას ვურჩევ სწორი არჩევანი გააკეთოს, ფუნქციურად ჩემი დავალებაც ეს არის. ვურჩევ მოისმინონ თითოეული კანდიდატის საარჩევნო პროგრამა, პრობლემების გადაჭრის გზები და თავად გადაწყვიტონ როგორი არჩევანი უნდა გააკეთონ მათი და თანასოფლელების სასიკეთოდ“.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ადგილობრივი განმანათლებლები თავიანთ თემებში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას უკვე შეუდგნენ.

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე**

**მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge**